



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
19 აპრილი 2021

ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის მარტში ექსპორტი წლიურად 30.8%-ით გაიზარდა და 326.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 17.8%-ით გაიზარდა 767.9 მლნ აშშ დოლარამდე (იმპორტის ზრდა 2020 წლის მარტის შემდეგ პირველად დაფიქსირდა). შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 9.8%-ით გაუარესდა და 441.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამურად, 2021 წლის პირველ კვარტალში, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 7.3%-ით შემცირდა, რადგან ექსპორტი 5.3%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 2.4%-ით შემცირდა.

ფულადი გზავნილები: 2021 წლის მარტში ფულადი გზავნილები წლიურად 49.5%-ით გაიზარდა და 188.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვის 17.5%-იანი ზრდის შემდეგ. ფულადი გზავნილები წლიურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: რუსეთი (+26.8%), იტალია (+76.3%), აშშ (+59.8%), საბერძნეთი (+27.3%) და ისრაელი (+32.7%). ჯამურად, 2021 წლის პირველ კვარტალში ფულადი გზავნილები წლიურად 28.4%-ით გაიზარდა და 499.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სავალუტო ინტერვენციები: 2021 წლის 15 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ლარის მერყეობის შესამსუბუქებლად 25.4 მლნ აშშ დოლარი გაყიდა ბაზრისთვის შეთავაზებული 40 მლნ აშშ დოლარიდან. ჯამურად, წლის დასაწყისიდან სებ-მა 6 სავალუტო აუქციონი გამართა და 212.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.


სუვერენული ვერობლივაცია: 2021 წლის 15 აპრილს საქართველომ წარმატებით გამოუშვა 500 მილიონი აშშ დოლარის 5-წლიანი ვერობლივაცია, რომლის კუპონის განაკვეთი განისაზღვრა 2.750%-ით. აღსანიშნავია, რომ ვერობლივაციის მიმართ ინვესტორების ინტერესი საკმაოდ მაღალი იყო და მოთხოვნამ \$2.0 მლრდ-ს გადააჭარბა. სავაჭრო დღის შემდეგ ვერობლივაციის შემოსავლიანობამ 2.875% შეადგინა, რაც აშშ-ს შესადარ სახაზინო ობლივაციასთან დაახლ. 207სპ-ის სპრედს (სხვაობას) წარმოადგენს. საქართველოს ვერობლივაციის გამოშვების პროცესში მონაწილეობდა სამი ავტორიტეტული საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი: JP Morgan, Goldman Sachs და ICBC; პროცესში ასევე ჩართული იყო 2 ადგილობრივი საინვესტიციო ბანკი - Galt & Taggart და TBC Capital.

ეკონომიკური ინდიკატორები

| | 2018 | 2019 | 2020 |
|--|--------|--------|--------|
| მშპ (%-ლი ცვლილება) | 4.8% | 5.0% | -6.2% |
| მშპ ერთ სულზე (ppp) | 14,584 | 15,613 | 14,918 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$) | 4,722 | 4,696 | 4,275 |
| მოსახლეობა (მლნ) | 3.7 | 3.7 | 3.7 |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო | 1.5% | 7.0% | 2.4% |
| მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$) | 3.3 | 3.5 | 3.9 |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %) | 6.8% | 5.5% | 12.3% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %) | 2.3% | 2.1% | 9.3% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %) | 38.9% | 40.4% | 60.0% |

წყარო: ოფიციალური მონაცემები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-21

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS

BB

უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021

Moody's INVESTORS SERVICE

Ba2

სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020


FitchRatings

BB

უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები

ფულადი გზავნილები



წყარო: სებ




ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 13 აპრილს 1-წლიანი 15 მლნ ლარის (4.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 4.2-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.5113პპ-ით გაიზარდა და 8.455% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 20 აპრილს, სადაც 10-წლიანი 25 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

| სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი | | | |
|---------------------------------------|--------------------------------------|------------------------------|------------------------|
| ვალიანობა | გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამომგება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება* |
| 6-თვე | 45 | 120 | 90 |
| 1-წელი | 45 | 120 | 540 |
| 2-წელი | 60 | 160 | 1,270 |
| 5-წელი | 113 | 315 | 2,373 |
| 10-წელი | 25 | 75 | 1,262 |
| სულ | 288 | 790 | 5,535 |


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხილო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.09%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.31 (+0.01% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციები (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.52 (+0.13% წინა კვირასთან შედარებით), 5.55%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრობდა 105.95 ფასად (-0.23% წინა კვირასთან შედარებით), 2.77%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევროობლიგაციები



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილნეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები

| გამომწვევი | ვალუტა | მოცულობა, მლნ აშშ \$ | კუპონი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|-------------------|--------|----------------------|---------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|---------------|
| GEORG 4/26 | USD | 500 | 2.750% | Apr-26 | -/-/- | 100.32 | 2.68 | 178.52 |
| GRAIL 07/22 | USD | 500 | 7.750% | Jul-22 | BB-/B+/- | 105.95 | 2.77 | 255.14 |
| GEBGG 07/23 | USD | 350 | 6.000% | Jul-23 | BB-/B2 | 106.31 | 3.09 | 277.10 |
| GEBGG 11 1/8 PERP | USD | 100 | 11.125% | n/a | B-/B- | 108.71 | 9.20 | 748.96 |
| GEOCAP 03/24 | USD | 300 | 6.125% | Mar-24 | -/B/B2 | 101.52 | 5.55 | 511.58 |
| SILKNET 04/24 | USD | 200 | 11.000% | Apr-24 | B-/B1 | 109.01 | 7.53 | 652.66 |
| TBC 06/24 | USD | 300 | 5.750% | Jun-24 | BB-/B2 | 107.06 | 3.38 | 288.80 |
| TBC PERP | USD | 125 | 10.775% | n/a | B-/B- | 109.20 | 9.39 | 715.06 |
| GGU 07/25 | USD | 250 | 7.750% | Jul-25 | B+/B/- | 105.13 | 6.36 | 549.26 |

ადგილობრივი ობლიგაციები

| | | | | | | | | |
|-----------------------|-----|----|--------|--------|-----------|--------|-------|-----|
| KTW 12/22 | USD | 10 | 9.00% | Dec-22 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| GWP 12/21 | GEL | 30 | 12.50% | Dec-21 | BB-/B1/- | n/a | n/a | n/a |
| M2CA 12/21 | USD | 30 | 7.50% | Dec-21 | -/-/- | 100.00 | 7.50 | n/a |
| M2RE 10/22 | USD | 35 | 7.50% | Oct-22 | -/-/- | 100.43 | 7.20 | n/a |
| GLC 06/21 | USD | 5 | 6.50% | Jun-21 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| GLC 08/21 | USD | 10 | 7.50% | Aug-21 | -/-/- | 100.00 | 7.50 | n/a |
| GLC 08/22 | USD | 10 | 7.50% | Aug-22 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| Nikora Trade 08/21 | GEL | 25 | 9.00% | Aug-21 | -/-/B+ | n/a | n/a | n/a |
| SILKNET 04/24 | GEL | 34 | 12.50% | Apr-24 | B+/-/B1/- | n/a | n/a | n/a |
| Geo. Beer Company | GEL | 25 | 13.00% | Dec-23 | -/-/BB- | n/a | n/a | n/a |
| Lisi Lake Development | USD | 12 | 8.00% | Dec-21 | -/-/B+ | n/a | n/a | n/a |
| Tegeta 04/22 | GEL | 30 | 10.75% | Apr-22 | -/-/BB- | n/a | n/a | n/a |
| Swiss Capital 09/21 | GEL | 10 | 14.25% | Sep-21 | B-/B1/- | 100.00 | 14.25 | n/a |
| EVEX 11/24 | GEL | 50 | 12.10% | Nov-24 | -/-/BB | n/a | n/a | n/a |

წყარო: Bloomberg





აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 11.08 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.18% წინა კვირასთან შედარებით და -4.65% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 198 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.98 – 11.54 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 43 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.87 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.34% წინა კვირასთან შედარებით და +3.71% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 66 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.81 – 6.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 83 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 11.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +4.86% წინა კვირასთან შედარებით და -0.71% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 153 ათასს გადააჭარბა, GBP 10.64 – 11.32 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 34 ათასი აქცია შეადგინა.





აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

| ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ აშშ \$ | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E | | P/B | | |
|--------------------|--------|-------------|-----------------------|-------------|----------|----------------|--------|---------------|---------------|--------------|--------------|
| | | | | | | | 2020F | 2021F | 2020F | 2021F | |
| Bank of Georgia | BGEO | GBP | 11.08 | 545 | 24.4% | 19.5% | -9.2% | 8.09x | 4.67x | 0.97x | 0.81x |
| TBC | TBC | GBP | 11.22 | 619 | 18.6% | 47.6% | -10.2% | 6.73x | 4.98x | 0.94x | 0.83x |
| Sberbank | SBER | USD | 15.21 | 82,057 | 47.6% | 50.9% | 4.7% | 8.26x | 6.57x | 1.21x | 1.10x |
| Halyk Bank | HSBK | USD | 14.64 | 4,302 | 47.3% | 60.5% | 25.7% | 5.88x | 5.08x | 1.19x | 1.12x |
| VTB Bank | VTBR | USD | 1.21 | 7,815 | 56.0% | 32.0% | 26.3% | 8.08x | 3.45x | 0.42x | 0.40x |
| Akbank | AKBNK | TRY | 4.97 | 25,844 | -4.4% | -12.0% | -28.3% | 3.98x | 3.19x | 0.39x | 0.36x |
| Garanti | GARAN | TRY | 7.28 | 30,576 | 1.4% | -11.8% | -29.8% | 4.20x | 3.18x | 0.45x | 0.42x |
| Isbank | ISCTR | TRY | 4.91 | 22,095 | -10.2% | 1.7% | -29.9% | 3.04x | 2.66x | 0.30x | 0.29x |
| PKO | PKO | PLN | 33.15 | 41,438 | 57.8% | 50.4% | 15.4% | 14.37x | 11.65x | 0.91x | 0.90x |
| PEKAO | PEO | PLN | 76.24 | 20,011 | 57.9% | 41.8% | 24.8% | 16.55x | 12.30x | 0.79x | 0.76x |
| Millennium | MIL | PLN | 3.80 | 4,610 | 51.0% | 18.2% | 16.2% | 64.83x | 9.36x | 0.50x | 0.53x |
| Mbank | MBK | PLN | 208.20 | 8,821 | 40.3% | -6.4% | 16.2% | 35.42x | 130.47x | 0.51x | 0.53x |
| BRD | BRD | RON | 15.38 | 10,718 | 26.9% | 33.3% | 3.5% | 13.23x | 10.69x | 1.17x | 1.41x |
| Banca Transilvania | TLV | RON | 2.41 | 13,828 | 15.9% | 40.4% | 7.1% | 14.17x | 8.53x | 1.50x | 1.27x |
| OTP | OTPD | USD | 22.40 | 12,544 | -1.8% | -1.8% | -1.8% | 12.52x | 10.20x | 0.70x | 0.64x |
| Komercni | KOMB | CZK | 678.00 | 128,853 | 40.1% | 24.4% | 3.2% | 15.97x | 14.00x | 1.13x | 1.08x |
| საშუალო | | | | | | | | 14.71x | 15.06x | 0.82x | 0.78x |
| მედიანა | | | | | | | | 10.39x | 7.55x | 0.85x | 0.78x |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

| ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ აშშ \$ | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E | | P/B | | |
|-----------------------|--------|-------------|-----------------------|-------------|----------|----------------|--------|---------------|--------------|--------------|--------------|
| | | | | | | | 2020F | 2021F | 2020F | 2021F | |
| Georgia Capital | CGEO | GBP | 5.87 | 281 | 45.8% | 22.8% | 8.7% | na | na | na | na |
| Tinc Comm | TINC | EUR | 12.60 | 458 | -4.5% | -1.6% | -2.7% | na | na | na | na |
| Sabancı Holding | SAHOL | TRY | 8.20 | 16,731 | -4.2% | 7.6% | -28.4% | 3.21x | 2.98x | 0.42x | 0.37x |
| Deutsche Beteiligungs | DBAN | EUR | 34.90 | 525 | 17.5% | 36.8% | 12.0% | na | 6.97x | 1.21x | 1.10x |
| Eurazeo | RF | EUR | 68.70 | 5,428 | 56.2% | 73.5% | 23.8% | 32.75x | 9.46x | 0.98x | 0.87x |
| Carlyle Group | CG | USD | 39.23 | 13,910 | 41.7% | 73.0% | 24.8% | 21.13x | 17.17x | 6.48x | 4.93x |
| საშუალო | | | | | | | | 19.03x | 9.14x | 2.27x | 1.82x |
| მედიანა | | | | | | | | 21.13x | 8.21x | 1.09x | 0.98x |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე სახის და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge